# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.883)

29 ივნისი–6 ივლისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ლევან დავითაშვილი – პანიკის საფუძველი არ არსებობს, ქვეყანაში ხორბლის საკმარისი მარაგებია და ალტერნატიული წყაროების მონახვადია

გვ. 3

## მერიამ სახლის სახურავი გადაახურა



გვ.3



## განათლების პრობლემა საქართველოში



გვ.5

## მეშვიდე პრემიერა და თაობათა ცვლა „ბერიკონში“



გვ. 8

## ხელოვნების ზეიმი



გვ. 6

## ბუნება - ჩვენი მთავარი პარტნიორი





გვ. 4

## მამუკა ბახტაძე - ჩვენს გუნდში ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც სკამს გამოეკიდება

გიორგი გახარიას დღეს უყენებენ პრეტენზიას ისე, რომ ცდილობენ იგნორირება გაუკეთონ მთავარ შეფასებას, რომ პოლიციას სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი, გარდა ლეგიტიმური ძალის გამოყენებისა, - ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ 20-21 ივნისის ღამეს მიმდინარე მოვლენებზე დასმულ კითხვას, თუ რატომ არ იღებს თავისი დაქვემდებარებულების შეცდომის გამო პასუხისმგებლობას გიორგი გახარია, მაშინ, როცა ეს გააკეთა ირაკლი კობახიძემ და მსგავსი პასუხისმგებლობის გამო გადადგა.

პრემიერის თქმით, ის, რაც 20 ივნისის დილას მოხდა, იყო „ძალიან მძიმე შეცდომა და არ უნდა მომხდარიყო“.

„ის, რაც 20 ივნისს, დილით მოხდა, ეს რა თქმა უნდა, იყო ძალიან მძიმე შეცდომა, ეს არ უნდა მომხდარიყო. ჩვენ ვიცით მისი შედეგი რა იყო, რა გულწრფელი პროტესტი მოჰყვა საზოგადოების მხრიდან და ირაკლი კობახიძემ მიიღო ძალიან ღირსეული გადაწყვეტილება, მაგრამ ეს იყო დამთავრებული პროცესი. გიროგი გახარიას დღეს უყენებენ პრეტენზიას, თან ისე, რომ ცდილობენ, ამავე დროს იგნორირება გაუკეთონ მთავარ შეფასებას. მთავარი შეფასება გახლავთ ის, რომ პოლიციას სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი, გარდა იმისა, რომ გამოეყენებინა ლეგიტიმური ძალა. პრეტენზიას უყენებენ იმ საკითხზე, რომელიც მოითხოვს დამატებით შესწავლას და გამოძიებას“, - განაცხადა პრემიერმა.

რაც შეეხება ლეგიტიმური ძალის გამოყენებას, პრემიერის თქმით, ამაზე კითხვის ნიშანი არ არსებობს.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, გიორგი გახარია არ არის „იმ ფასეულობათა სისტემის მქონე ადამიანი, ვინც მინისტრის სკამს გამოეკიდება“.

„ჩვენს გუნდში, თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ ადამიანს, ვინც სკამს გამოეკიდება, მითუმეტეს იმ ფასეულობათა სისტემის მქონე ადამიანი, როგორიც არის გიორგი და რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ. წარმოიდგინეთ, რომ მომხდარიყო ის, რაც სურდათ ამ ავანტიურისტებს, ეს რა ქაოსში შეიყვანდა ქვეყანას. ჩვენ ხომ გავიარეთ ეს უახლეს ისტორიაში?!“ - განაცხადა პრემიერმა.

## პარლამენტმა ახალი საბაჟო კოდექსი დაამტკიცა

პარლამენტმა ახალი საბაჟო კოდექსი დაამტკიცა. “საქართველოს საბაჟო კოდექსი“ მესამე მოსმენით 80 ხმით, ერთხმად მიიღეს.

საბაჟო კოდექსის პროექტით, უქმდება რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია და რეექსპორტის განხილვა მოხდება როგორც საქონლის მარტივი დამუშავება. აღარ იქნება საჭირო რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა. მარტივდება საქონლის დროებით შენახვის დასრულება და თავისუფალი ზონის პროცედურის დასრულება.

ახალი საბაჟო კოდექსით შესაძლებელია იმპორტის გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. პროექტის მიხედვით, იმპორტიორი სრულად დაიბრუნებს მსუბუქ ავტომობილსა და მოტოციკლზე გადახდილ იმპორტის გადასახადის თანხას, თუ ის იმპორტიდან 90 დღის განმავლობაში გავა ექსპორტზე. შესაბამისად, საქართველოში გადახდილი იმპორტის გადასახადი არ აისახება სატრანსპორტო საშუალების სარეალიზაციო ფასში, რაც იმპორტიორს გაუადვილებს საზღვარგარეთ მის რეალიზაციას.

დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელი ხდება სასაქონლო პარტიისათვის იმპორტის გადასახადი გაანგარიშდეს დეკლარაციაში შემავალი საქონლის იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე, რაც შეამცირებს საბაჟო ადმინისტრირების დანახარჯებს.

გარდა ამისა, ახალი საბაჟო კოდექსით, ბიზნესს ეძლევა შესაძლებლობა, გადამუშავებული პროდუქტის იმპორტის შემთხვევაში, მისი სურვილით, იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშოს ან გადამუშავებული პროდუქტისათვის დადგენილი განაკვეთების ან ნედლეულისათვის დადგენილი განაკვეთების შესაბამისად.

ახალი საბაჟო კოდექსით ჩნდება შესაძლებლობა, პირმა საბაჟო დეკლარირება მოახდინოს საკუთარ ჩანაწერებში მონაცემების შეყვანით, რაც გულისხმობს დეკლარირების ავტომატური სისტემის დანერგვას საბაჟო სფეროში, რაც უზრუნველყოფს დეკლარანტის ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებას.

ახალი საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარანტიის ახალი სახის - თავდებობის გამოყენების შესაძლებლობას.

ამასთან, საბაჟო კანონმდებლობაში შენარჩუნდება ყველა ის ცვლილება, რაც რეფორმების შედეგად განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ერთიანი/გამარტივებული ადმინისტრირების მიმართულებით, მათ შორისაა: გადასახადის გადამხდელის ერთიანი ბარათი (საგადასახადო და საბაჟო), “სივრცეში“ და “საზღვარზე“ არსებული ზედმეტობის ურთიერთჩათვლა, ერთიანის სახაზინო კოდი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულების შესასრულებლად, გასაჩივრებისა და საგადასახადო შეთანხმების ერთიანი სისტემა.

## რუსების გარეშე 2019 წელს ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით, 8.3 მლნ იქნება - რამდენად დაგვაზარალებს რუსეთთან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შეჩერება?

რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოში ფრენების აკრძალვას არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ეხმაურება.

მათი ცნობით, ფრენების შეჩერება, თუ ტურისტთა ნაკადები სხვა გზებით არ ისარგებლებენ, 2019 წელს საქართველოს შემოსავალს ტურიზმიდან დაახლოებით 100 მლნ დოლარით შეამცირებს.

„თუ დავუშვებთ ყველაზე რადიკალურ სცენარს, რომ ივლისიდან საქართველოში რუსი ვიზიტორი საერთოდ აღარ შემოვა, 2019 წელს ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით 8.3 მილიონი იქნება, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე მეტია.

რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების 70% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის, 29% კი საჰაერო ტრანსპორტით. 2017 წელს ერთმა რუსმა ვიზიტორმა საშუალოდ 984 ლარი (400 დოლარი) დახარჯა საქართველოში.

პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შეჩერება, თუ ტურისტთა ნაკადები სხვა გზებით არ ისარგებლებენ, 2019 წელს საქართველოს შემოსავალს ტურიზმიდან დაახლოებით 100 მლნ დოლარით შეამცირებს,“-აღნიშნულია ორგანიზაციის ინფორმაციაში.

მათი ცნობით, ყველა ფაქტობრივი სტატისტიკური ინფორმაციის წყარო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოში ფრენები დროებით აკრძალა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია კრემლის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. აკრძალვა ძალაში 8 ივლისიდან შევა და დროებით იმოქმედებს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განმარტებით, ამ შეზღუდვის მიზანია, რუსეთის ეროვნული ინტერესების დაცვა და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა. ამასთან, პუტინმა ტუროპერატორებს მითითება მისცა, რომ აკრძალვის პერიოდში საქართველოს მიმართულებით ტურისტული საგზურები არ გაყიდონ. პუტინმა მინისტრთა კაბინეტს დაავალა, სამშობლოში დააბრუნონ რუსეთის ის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში დროებით არიან.

# გიორგი გახარია: „მე შემიძლია გადავდგე ხვალაც...“

“რაც აქციის ღამეს მოხდა, არის ჩემი პასუხისმგებლობა; სანამ არ დასრულდება გამოძიება, მე ვიქნები ამ (მინისტრის) სავარძელში; პოლიციამ ლეგიტიმური ძალა გამოიყენა; თუ მე გავხდი სისხლიანი ჯალათი ხალხის თვალში, ამ ტვირთს როგორმე ვატარებ; დაშლის ბრძანებაზე დიახ, მე მაქვს ხელი მოწერილი... - ეს განცხადებები შს მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებთან კონფერენციაზე განაცხადა. „მე თუ გავხდი სისხლიანი ჯალათი ხალხის თვალში ეს ნიშნავს იმას, რომ ესეც ჩემი ტვირთია, რომელსაც როგორმე იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ყველამ გაიგოს, რომ ძალადობრივი შეტევა ინსტიტუტებზე არის შეუძლებელი, ქვეყნის განვითარებასთან შეუსაბამო, მე ამ ტვირთს როგორმე ვატარებ,”- თქვა მინისტრმა. შს მინისტრს ჰკითხეს, თუ აქციები არ დასრულდება, გადადგება თუ არა. „მე შემიძლია გადავდგე ხვალაც, ზეგაც და მასზეგაც. ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მე ამ სავარძელში გადადგომა-არ გადადგომის გამო კი არ ვზივარ, აქ ვარ და ვიქნები მანამ, სანამ იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომელზეც ახლა ვსაუბრობ, არ დავასრულებ,“ – განაცხადა გახარიამ. მისი ამოცანა კი, როგორც ჟურნალისტებს განუცხადა, არის გამოძიების დასრულება, როგორც უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში, ასევე 225-ე მუხლით სახელმწიფო ინსტიტუტებზე ძალადობრივი თავდასხმის ნაწილში და თუ სისტემური დანაშაული გამოიკვეთება, ის მზადაა ამის შემდეგ წავიდეს. შს მინისტრი გიორგი გახარია 20 ივნისის აქციის დარბევიდან 8 დღის შემდეგ საჯაროდ გამოჩნდა და ტელემედიის ჟურნალისტებთან პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებმა მინისტრს რამდენჯერმე დაუსვეს კითხვა, რატომ გამოიყენა სპეცრაზმმა რეზინის ტყვიები, მათ შორის საშიში, ნარინჯისფერი ტყვიები პირდაპირი დამიზნებით; რატომ არ იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მინისტრი და არ მიდის. ასევე შს მინისტრს რამდენჯერმე დაუსვეს კითხვა, ვინ გასცა მიტინგის დაშლაზე ბრძანება, მინისტრმა თუ ვინმე სხვამ და არსებობს თუ არა ხელმოწერილი დოკუმენტი, გახარიამ ჯერ რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რაც აქციის ღამეს მოხდა, ყველაფერზე პასუხისმგებელია თვითონ. შემდეგ კი თქვა, რომ 20-21 ივნისის ღამის მსგავსი



ღონისძიებების ჩატარებისთვის არსებობს კონკრეტული ბრძანებები, დიახ, ამ ბრძანებებზე მას აქვს ხელი მოწერილი. მინისტრმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ის თანამდებობაზე რჩება, მათ შორის პოლიციელების „ბულინგისგან” დასაცავად, რადგან პოლიციელები იცავდნენ სახელმწიფო ინსტიტუტს, სამოქალაქო სიმშვიდეს ამ ქალაქში, რის გამოც იძულებულები გახდნენ გამოეყენებინათ ლეგიტიმური ძალა, ახლა კი ზოგიერთი მოქალაქე ცდილობს, პოლიციელებს მოუწყოს „სახალხო სასამართლო”, რაც მიუღებელია. „არანაირი პრობლემა არ მაქვს ამ სავარძელში ჯდომის. ამ სავარძელში ჯდომა არის სწორედ ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელზეც საუბრობთ”,”- თქვა მინისტრმა. მინისტრმა განაცხადა, რომ სახალხო პროტესტი თავიდან იყო სამართლიანი, ღამის 10 საათამდე აქცია იყო მშვიდობიანი და სამართალდამცველებიც გულწრფელად თანაუგრძნობდნენ ამ პროტესტს. თუმცა, შემდგომ აქცია კანონიერ, მშვიდობიან ფარგლებს გასცდა და დაიწყო პირდაპირი მოწოდებები და ორგანიზებული შტურმი პოლიციაზე პარლამენტში შესვლის მიზნით. მომიტინგეების ჯგუფებმა გაიტაცეს 30 პოლიციელი. ამიტომ გახდა იძულებული პოლიცია, დაეშალა მიტინგი და, თუკი, აქციაზე გამოყენებული ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებისას იყო რაღაც დარღვეული, ამას გამოძიება დაადგენს”.

გახარიას განცხადებით, ეს არ ყოფილა პოლიციასა და მშვიდობიან აქციას შორის ურთიერთობის დარეგულირება, ეს იყო შტურმის მოგერიება. მისი თქმით, სიმართლე არ არის, რომ პოლიციელებმა დაიწყეს მშვიდობიანი აქციის დარბევა, რადგან ღამის ორ საათამდე პოლიციას პარლამენტის პერიმეტრი არ დაუტოვებია და ისინი თავს ვერავის დაესხმებოდნენ. თქვა, რომ პოლიცია იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს. გარდა ამისა, მისივე თქმით, ცინიკური ტყუილია, როცა ნარინჯისფერ ტყვიებზე ამბობენ, რომ ის არის დათვის ტყვიები და თანაც, ეს ტყვიები ნაყიდია ჯერ კიდევ 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობის” ხელისუფლების მიერ. „არც ერთი რეზინის ტყვია, რომელიც აკრძალულია ან არის ლეტალური, ამ ღონისძიების დროს გამოყენებული არ ყოფილა და ვერ იქნებოდა. ამ ტყვიის გამოყენების, ან პროტოკოლის შესაბამისად გამოყენების საკითხი არის გამოძიების შესასწავლი. ეს ტყვიები არსებობს გამოძიების საქმეში და ისინი დაადგენენ და მე არ მივცემ ახლა ამას არც მორალურ და არც სამართლებრივ შეფასებას. რაც შეეხება ამ ტყვიების ყიდვას, ეს ტყვიები ნაყიდია 2012 წლის აგვისტოში და მას შემდეგ არსებობდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შეიარაღებაში. მას შემდგომ ეს ტყვიები შეძენილი არ ყოფილა,”- თქვა გახარიამ.

მინისტრმა თქვა, რომ რაც არ უნდა ჯალათი თუ სისხლისმსმელი უწოდონ, არავის მისცემს საშუალებას, რომ ძალოვანი სტრუქტურების მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების დაცვა გახდეს მარგინალიზებული. „რა ავარიდეთ, რა მძიმე სცენარზეა საუბარი? ეს იყო მცდელობა, ქვეყანაში მომხდარიყო ძალადობრივად სახელმწიფო ინსტიტუტის, შესაბამისად ხელისუფლების ხელში ჩაგდება”, -თქვა მინისტრმა. როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, ამ პროცესების დროს პირდაპირ ეთერში ჩანდა მოწოდებები, იყვნენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს სხვადასხვა სიტყვებით. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების მიზანი არის ის, რომ ქვეყანაში არ მოხდეს შტურმებით ხელისუფლების ცვლილების მცდელობა, ეს უნდა დასრულდეს, სხვანაირად სამართლებრივი და ჯანსაღი სახელმწიფო ვერ აშენდება”.

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

| ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | ფართობი | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარებში) | „ბე“ -საწყისი საფასურის | „ბიჯი“ - საწყისი საფასურის | „მონაწილის ბილეთის“ ღირებულება (ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფელი ხორნაბუჯი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.06.32.227 | 6034კვ.მ. | 9000 | 10% | 5% | 100 |
| 2 | სოფელი ხორნაბუჯი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები | 52.06.32.255 | მიწის ნაკვეთი -5112კვ.მ. შენობა ნაგებობა: N1- 347კვ.მ. N2 - 25კვ.მ. | 12200 | 10% | 5% | 100 |

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური - მაია ალადაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, 1-ლი სართული, სხდომათა დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, მაია ალადაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;
კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური, საკონტაქტო ტელეფონი: 599 455 794.

სააუქციონო კომისია

# მერიამ სახლის სახურავი გადაუხურა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ფიროსმანში მცხოვრებ თენგიზ მახარაძის ოჯახს ეწვია, რომელსაც მერიამ საცხოვრებელი სახლის სახურავი გადაუხურა.

თენგიზ მახარაძის სახლის ჭერი მაისში, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა. დაზარალებული ოჯახი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად მყისიერად მოინახულა და დახმარებას შეპირდა.

გადახურვის სამუშაოები სწრაფ ტემპებში მიმდინარეობდა და დღეისათვის ის დასრულებულია.

მახარაძეებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს დანაპირების შესრულებისა და გაწეული ოპერატიული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს.

# ლევან დავითაშვილი - პანიკის საფუძველი არ არსებობს, ქვეყანაში ხორბლის საკმარისი მარაგებია და ალტერნატიული წყაროებიც მონახვადია

მინდა, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ქვეყანაში პანიკის საფუძველი არ არსებობს. ქვეყანაში ხორბლის საკმარისი მარაგებია და ალტერნატიული წყაროებიც მონახვადია, - ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტებს რუსეთიდან ხორბლის იმპორტზე ემბარგოს დაწესების რისკებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განუცხადა.

„ამ სავაჭრო ურთიერთობებში ჩართულია ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც დაკარგავს თავის შემოსავალს ან მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება. მესმის მეხორბლეთა პოზიციები, რომ ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს პრაგმატული და ჩვენ გარკვეული პასუხისმგებლობები გვაკისრია.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრაგმატულად და საღად წარვმართოთ კომუნიკაცია და მართვის პროცესი რთულ ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია ფაქტობრივად, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსის მიერ“, - განაცხადა დავითაშვილმა.



# ბუნება - ჩვენი მთავარი პარტნიორი

დიახ, ბუნება მბრძანებელია. ის ყოველთვის აჩვენებს საკუთარ ძალას და ძალასთან ერთად სწორედ საკუთარი სილამაზის დემონსტრირებაცაა მისი ხიბლი. ადამიანის როლი ბუნებასთან მიმართებაში განუზომელია. ის უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ბუნებას თავისი არასწორი ქმედებებით და არ უფიქრდება იმას, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს მას. ტყის გაჩეხვა, წყლის დაბინძურება, ნარჩენების დაყრა - ეს იმ მცირე პრობლემების ჩამონათვალია, რაც ბუნებას კიდევ უფრო აშორებს ჩვენგან. ნარჩენებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ როგორც გარემოზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზე ატმოსფერულ ჰაერში, ნიადაგში, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში ემისიების გზით. ნარჩენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოტენციური ნედლეულისა და ენერგიის კარგვა. ნარჩენების გადამუშავებას მოაქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, როგორიცაა საჭირო რესურსების მიღება და პირველადი ნედლეულის დაზოგვა, ინოვაციის წახალისება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

27 ივნისს, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე, კერძოდ, არწივის ხეობაში, გაიმართა პროექტის „ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა ვაშლოვანის ტერიტორიებზე" პრეზენტაცია, რომელიც შეიმუშავა და განახორციელა სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა - ნაკრესი, გაეროს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის დახმარებით. პროექტის მიზანს წარმოადგენს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ნარჩენების, მათ შორის ქიმიური ნარჩენების პრობლემების მოგვარება ნარჩენების მართვის ეფექტიანი და მდგრადი მექნიზმების დანერგვის გზით. პროექტის ამოცანებია:

- **ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ნარჩნენების მართვის გეგმის შემუშავება;**
- **ნარჩენების მართვის შესახებ ადგილობრივი თემის ინფორმირებულობის გაზრდა;**
- **ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტის" შესაძლებლობების ზრდა.**



პროექტის კოორდინატორმა, თემურ პოპიაშვილმა, მოწვეულ სტუმრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიიდან, მხარდამჭერი ორგანიზაციებიდან და ადგილობრივი მედიიდან, ის არსებულ მდგომარეობა გააცნო, რომელიც პროექტის დასაწყიში შერჩეულ ტერიტორიაზე დახვდათ. სამწუხაროდ, პრაქტიკა არც ისეთი სახარბიელო აღმოჩნდა, რასაც ხელს, ჯერ ადამიანები და შემდეგ კი ბუნებრივი მოვლენები უწყობს: ცხოველებისა და ქარის მიერ ნარჩენების დიდ ტერიტორიაზე გადატანა უფრო ართულებს და შრომატევადს ხდის ნარჩენების მართვის მექანიზმებს. პროექტის პირველ ეტაპზე აღირიცხა ნარჩენები მთელს დაცულ ტერიტორიებზე. ეს იყო სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა წყაროდან წამოსული ნარჩენები, ზოგი ისეთი, რომლის გამოტანასაც ისინი შეძლებდნენ, ზოგი ისეთი რომელსაც პროექტი ვერ გასწვდებოდა, მაგალითად, სამშენებლო ნარჩენები. როგორც თემურ პოპიაშვილმა განაცხადა, ეს ყველაფერი მოხალისეებთან ერთად მოხდა. გაკეთდა მონაცემთა ბაზა, სადაც აღწერილია ნარჩენის ადგილი, კოორდინატები, მოცულობა, სახე, (საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, სახიფათო), რადიუსი, რა რადიუსია დანაგვიანებული, მათი აზრით ვინ არის ამის გამკეთებელი, ეს დაუდევრობაა, თუ ძველი ნარჩენები. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა თემატური რუკების გაკეთება, სადაც ასახულია ის ტერიტორიები, რომელიც დანაგვიანებულია. რუკაზე ფერადად მონიშნულია ნარჩენების ტიპები, რადიუსი, ინტენსივობა. დასუფთავების შემდეგ, შესაძლებელია, რუკიდან ამ დასუფთავებული რადიუსის მოშლა. პროექტის ბოლოს, შესაძლებელია უკვე არსებული მონაცემების გადაცემა დაცული ტერიტორიებისთვის, რის შედეგადაც ადმინისტრაციას ეცოდინება სად რა ტიპის ნარჩენია და მომავალში, სხვა პროექტის ფარგლებში თუ საკუთარი ძალებით შესაძლებელი იქნება ნელ-ნელა ვაშლოვანის ტერიტორიების დაბრუნება იმ საწყის მდგომარეობასთან, რომელიც ნარჩენებამდე იყო. დღეს-დღეობით, ეს ტერიტორიები პირვანდელთან შედარებით დასუფთავებულია, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, კვლავ ხდება ახალი ნარჩენების დამატება. უმთავრეს პრობლემას და გამოწვევას ტერიტორიებიდან ნარჩენების გამოტანა წარმოადგენს. როგორც თემურ პოპიაშვილმა აღნიშნა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი დასახმარებლად სრულ მზადყოფნაშია, თუმცა, აქ პრობლემა ტექნიკასთან მიდის, რომელიც ხშირად ვერ ახერხებს ნარჩენების გამოტანას დაცული ტერიტორიებიდან. ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება კვლავაც პროცესშია და ის სხვადასხვა შემთხვევებისთვის ნარჩენების მართვის შეთავაზებული მექანიზმების მორგებას გულისხმობს.

**„ამ პროექტში მუნიციპალიტეტი საკუთარ როლს სწორედ მდგრადობის კუთხით ხედავს. რადგან სხვა შემთხვევაში ჩვენ ვაწყდებით პრობლემებს: უმეტესობა ტერიტორია დაცული ტერიტორიების სააგენტოს იურისდიქციაა და იქ მუნიციპალიტეტი ვერაფერს დახარჯავს. თუ იქნება სხვა სახის ტექნიკა, მუნიციპალიტეტი მდგრადობის კუთხით აუცილებლად დაეხმარება პროექტს და გამოიტანს ნარჩენებს სხვადასხვა ტერიტორიებიდან. აღსანიშნავია, რომ მთლიანად კახეთისთვის კეთდება ნარჩენების მართვის გეგმა. გარდა ამისა, სადაც გზა არის შესული და ჩვენს ტექნიკას შესვლა შეუძლია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მსგავს პრაქტიკას მუდმივად ვახორციელებთ."** - განაცხადა ***მალხაზ მერაბიშვილმა***, დედოფლისწყროს მერის მოადგილემ.

არწივის ხეობაში,პროექტის ფარგლებში ჩატარებული ერთ-ერთი პირველი აქტივობა, რაც დედოფლისწყაროელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, წყალგამწმენდის კვლავაც ამოქმედებაა. წლების მანძილზე ძალიან დიდი სიბინძურე ჩაედინებოდა არსებულ წყალგამწმენდში, რომელიც შემდეგ თვითნებურად იწმინდებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სრულყოფილი წმენდა, ნარჩენების ნაწილი კვლავაც ხეობაში რჩებოდა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ წყალგამწმენდს ტექნიკით ვერ ამოწმენდ. მას ცოცხალი ძალა სჭირდება, ამიტომაც პროექტის ავტორებმა ჯერ ბუჩქებისგან გაწმინდეს და შემდეგ დაასუფთავეს ტერიტორია, რაც ძალიან რთული სამუშაო აღმოჩნდა. შეგროვებული ნარჩენები შემდგომ უკვე მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გაიტანონ ადგილიდან. **„ამჟამად, „ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციას" აქვს საშუალება და მერიაც დაგვპირდა, რომ მუდმივად მოხდეს ამის გაწმენდა და დასუფთავება. ეს იქნება იმის გარანტია, რომ წყალი თავისუფლად გაივლის და ზემოდან აღარ გადავა. ხეობის სისუფთავეს და ნარჩენების მართვის მდგრადობას საფრთხე შეექმნება მაშინ, როდესაც წყალგამწმენდი იქნება დაბინძურებული და მას არავინ მიაქცევს ყურადღებას."** - აღნიშნა თემურ პოპიაშვილმა. **„იმ შემთხვევაში თუ აქ ცოცხალი ძალის პრობლემა იქნება, ეს არ იქნება დაბრკოლება. ნებისმიერ დროს შეიძლება ამ ტერიტორიის დასუფთავება. არ იქნება პრობლემა, რომ ერთი და ორი საათი ადამიანების ძალა გამოვიყენოთ და ეს ტერიტორია დასუფთავდეს."** - საკითხს გამოეხმაურა მალხაზ მერაბიშვილი.

წყალგამწმენდის მონახულების შემდეგ პროექტის კოორდინატორები და სტუმრები ეკობანაკის მონაწილეებს ესტუმრნენ ხეობაში, სადაც დასუფთავების აქციაც გაიმართა და ადგილზე შეფასდა ტერიტორიის მდგომარეობა. პრეზენტაციაზე, რომელიც დედოფლისწყაროში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) წარმომადგენლის ამირან კოდიაშვილის მიწვევით ე.წ სახოხბეში გაიმართა, სტუმრებმა ეკობანაკიც მოინახულეს, რომელიც ინფორმირებულობის კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება არის ეკობანაკი, სადაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რამდენიმე სოფლის უფროსკლასელები არიან ჩართულები. **„ამ პროექტის ფარგლებში, მოეწყო სამდღიანი ეკო-ბანაკი, სადაც მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების სკოლების მოსწავლეები. შერჩევაში მუნიციპალიტეტში არსებული ის ორგანიზაციები დაგვეხმარა, რომლებიც ახალგაზრდებთან მუშაობენ: ეს არის ახალგაზრდული ცენტრი, სხვადასხვა სასწავლო ცენტრები, მაგალითად „სპექტრი". მათ გამოგვიგზავნეს ის ბავშვები, რომლებიც დაინტერესებულები არიან გარემოს დაცვითი თემატიკით, უყვართ ბუნება და მზად იყვნენ ამ ცხელ ამინდში შეჭიდებოდნენ ხეობის დასუფთავების საქმეს. ეკობანაკის ფარგლებში, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სხვადასხვა თემის ლექცია გვაქვს, მათ შორის ეკოტურიზმის მნიშვნელობაზე, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, უსაფრთხოება ლაშქრობისას, ფოტოგრაფიის ტექნიკა, როგორ გადაიღონ სურათი ლაშქრობაზე წასვლისას, ასევე გავუზიარეთ ჩვენი, ნაკრესის გამოცდილება ფოტო-ხაფანგების დაყენებაზე, რომელიც განთავსებული გვაქვს კიდეც მიმდებარე ტერიტორიაზე. მომავალში, პროექტის ფარგლებში გავაკეთებთ კიდევ ეკობანაკს, რომელიც ღამის თევით აღარ იქნება, ის ერთდღიანი იქნება და მოიცავს უფრო გასართობ ღონისძიებებს. ბანაკის დასრულების შემდეგ მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ გახდნენ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის „ახალი ჰორიზონტის" მოხალისეები"** - განაცხადა თემურ პოპიაშვილმა.

პროექტი ორწლიანია, ის 2016 წელს დაიწყო და წელს მთავრდება. პროექტის ფარგლებში შეძენილი 63 ურნა გადაეცემა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას, რომელთა ნაწილი თვითონ ადმინისტრაციის ტერიტორიაზე განთავსდება, სარეინჯეროებში, ნაწილი ფერმერებს გადაეცემათ და ნაწილი იმ სასაზღვრო პუნქტებს, რომლებიც მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შიგნით. გარდა ამისა, მოეწყო კომპოსტერი, ბიოგაზის აპარატიც, რომელიც მოემსახურება ნარჩენების შემცირებას. იმიტომ, რომ, რაც უფრო ნაკლები იქნება ნარჩენი, მით უფრო მარტივია მისი ტერიტორიიდან გამოტანა.

***სწორია გამონათქვამი, რომ „ბუნება გადაშლილი წიგნია, ამ წიგნის ერთი ყდა ცაა, მეორე კი მიწა და ადამიანებმა მისი კითხვა უნდა ვისწავლოთ". უნდა ვისწავლოთ ჩვენი მთავარი პარტნიორის - ბუნებს დაფასება და რაც უფრო ჰარმონიულად ვიქნებით მასთან, უფრო მეტ სარგებელს მოიტანს ის ჩვენთვის და ჩვენ მისთვის. ბუნება მბრძანებელია, მეგობრებო...***

ქუქუნა ყანჩაშვილი

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა..."
ვაჟა ფშაველა







# განათლების პრობლემა საქართველოში

***ჩვენს დროში ძალიან ბევრი პრობლემა არის აქტუალური, თუმცა მათგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სერიოზული განსჯის საგანი არის სწორედ განათლების პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები. განათლება ესაა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი - ცოდნის სახით. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. განათლების საერთო და სპეციალური დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმოების მოთხოვნებით.***

საქართველოში განათლების სფეროში მნიშვნელოვანი პრობლემებია. ყველამ კარგად ვიცით, რომ მხოლოდ დიპლომის ქონა არაფერს არ ნიშნავს, თუ მას არ ახლავს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ვიანიდან, განათლების სისტემაში არსებული მთელი რიგი ხარვეზებიის შედეგად, სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდები ვერ ახერხებენ, გაუმკლავდნენ შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. უნდა გავიაზროთ, რომ განათლებული ახალგაზრდები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს, ამიტომ აუცილებელია მათი თვითრეალიზების ხელშეწყობა და პოტენციალის სწორად გამოყენება ქვეყნის გაძლიერებისათვის.

იმ ფონზე, როცა გადაწყვეტილებების მიმღები პირები სახელმწიფო დონეზე აღნიშნავენ, რომ თითქოს განათლება ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტია, სამწუხაროდ, განათლებაზე მწირი თანხები იხარჯება და ასევე, ერთ-ერთი ნაკლებანაზღაურებადი სფეროა. ამდენად, ბუნებრივია, სახელმწიფოს პოლიტიკა განათლების სფეროში ძირეულად გადასახედია.

სტუდენტების ყოველწლიური რაოდენობრივი მატება, რეპეტიტორების ინსტიტუტი, კერძო მოსამზადებელი ცენტრები, ხანშიშესული მასწავლებლებით დაკომპლექტებული სკოლები, სკოლებში განათლების დაბალი დონე, ეროვნული გამოცდების დაბალი ზღვარი, კერძო და სახელმწიფო სასწავლებლებს შორის არსებული ხარისხობრივი განსხვავებულობა... ეს იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც ყოველდღიურად გვარწმუნებს,რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიცია სულაც არ იძლევა ყველაზე დიდ ეკონომიკურ სარგებელს.



მოზარდებს განათლების სურვილი სკოლის ასაკიდან უყალიბდებათ. არის კი სკოლა ის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია შესაბამისი ცოდნის მიცემა მოსწავლეებისათვის?! განათლების სამინისტრომ არაერთი რეფორმა გაატარა პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თუმცა, სასურველი შედეგი მაინც ვერ მივიღეთ...

ბევრ პედაგოგს დღემდე არ შუძლია კომპიუტერთან მუშაობა, მაშინ როდესაც ახალი რეფორმის თანახმად, ყველა პედაგოგოგმა ელექტრონულ სქემაში უნდა იმუშაოს. საქართველოს ბევრ სკოლაში დღემდე აყენებენ მოსწავლეებს სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას .

ფაქტია, რომ ფრაგმენტული რეფორმებით სასურველ შედეგზე ვერ გავალთ. ამიტომ უნდა მოხდეს განათლების სისტემის მთლიანი რეფორმირება. უნდა გაძლიერდეს სკოლის როლი და შეიქმნას მეტი პროფესიული სასწავლებელი. ზოგადად, უნდა შეიცვალოს „მხოლოდ დიპლომის აღების“ მენტალიტეტი.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა განათლების სფეროში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მაგალითად, აბსოლუტური შეუთავსებლობაა სასკოლო პროგრამებსა და უმაღლესში ჩასაბარებელ პროგრამებს შორის. სკოლა ვერ აძლევს მოსწავლეს იმ დონის განათლებას, რომ მან ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში, ამიტომ ჩამოყალიბდა რეპეტიტორის ინსტიტუტი. განათლება მხოლოდ მაშინ არის შედეგიანი, როცა ის არის სისტემაში მოყვანილი.დღეს არ არსებობს სისტემური განათლება, არსებობს ეროვნული გამოცდების ბარიერის გადალახვაზე ორიენტერებული ფრაგმენტული განათლება. ეროვნული გამოცდების ბარიერი არის ძალიან დაბალი.

*„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომცა დაეფარების ,*
*აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების:*
*ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების*
*არც ცხადი ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების;"*

დავით გურამიშვილი

ერთ-ერთი პირველი და უმთავრესი ნაბიჯი პრობლემის გადაჭრისათვის არის ის, რომ მასწავლებლის პროფესია უნდა გახდეს პრივილეგირებული, მისი ანაზღაურება უნდა გაიზარდოს, უნდა შეიცვალოს მათი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა. გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის როლი, შეიცვალოს მათი ჩატარების მეთოდიკა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ხარისხიანი უმაღლესი განათლება თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მომავალი განვითარება დიდწილად არის დამოიდებული განათლების ხარსიხზე. უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემები იყრის თავს. მიუხედავად იმისა, რომ ტარდება მრავალი რეფორმა განათლების კუთხით, ბევრი რამ არის მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობა. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა მოდად გადაიქცა. სხვადასხვა უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. ახალგაზრდებისთვის ხშირ შემთხვევაში თვითმიზანია არა ხარისხიანი განათლების მიღება, არამედ ის, რომ მოიპოვონ უმაღლესდამთავრებულის სტატუსი.

„უმაღლესში უნდა წავიდეს მხოლოდ ის, ვისაც აკადემიური ცოდნის მიღება უნდა და ეს რაოდენობა ცოტა უნდა იყოს, ვინაიდან შრომითი ბაზარი ვერ ასაქმებს ამდენ დიპლომიან ადამიანს. რეფორმები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და საბოლოოდ დაიხვეწოს განათლების სისტემა“ - ამბობს მზია თადუმაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს განათლების სფეროს მთლიანი სიტემის რეფორმა და დასავლურ სტანდარტებთან მიახლოება."

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ქვეყანა განათლების პრობლემის წინაშე დგას, რომლის გადაჭრაც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იყოს ქცეული. აუცილებელია მნიშვნელოვანი და ძირეული ღონისძიებების გატარება, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ სათანადო განათლების მიღებისა და მიღებული ცოდნის შემდგომი რეალიზების შესაძლებლობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# სკოლისკენ გზა დაულოცეს

ლაღი და ჰაეროვანი მუსიკის ჰანგები იღვრებოდა №2 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა სასკოლო მზაობის ჯგუფ „გვირილებში“ (დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილი, მეთოდისტი ნათელა თამაზაშვილი, მასწავლებლები: მარინა ხიჟჩენკო-ჯორკოშვილი, ელზა ბენაშვილი, ძიძა -მერი მოსეშვილი.



ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა აზა ლაპიაშვილმა).

ყველა უჩვეულოდ ფუსფუსებდა, ემზადებოდა, ღელავდა...

ლამაზად მორთულ დარბაზში, ცეკვაცეკვით შესრიალდნენ „ყვითელგულა“ ბავშვები, რომლებმაც ბოლოჯერ იცეკვეს და იმღერეს მშობლიური ბაღის კედლებში აღსაზრდელების რანგში. სექტემბრიდან ისინი სკოლაში გადაინაცვლებენ და მერხებს მიუსხდებიან. დღეს სევდანარევი განწყობა სუფევდა ბაღში. მასწავლებლებთან ერთად აღზრდილებიც გრძნობდნენ ამას. ნოსტალგიური განწყობა შეჰპარვოდა მათ რეპერტუარსაც. ბიჭუნების გუნდმა შეასრულა სიმღერა, სადაც ისინი ამბობდნენ, რომ „ბაღის აივნებს ყოველთვის მოეფერებიან“...

ბაღის დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილი და მასწავლებელი მარინა ჯორკოშვილი ცრემლნარევი თვალებით და ამაღელვებელი სიტყვებით გამოეთხოვნენ თავიანთ აღზრდილებს და ბედნიერი მომავალი უსურვეს მათ.

ღონისძიების დასასრულს, წითელი ხალიჩის ფონზე, მასწავლებელმა მარინა ჯორკოშვილმა საზეიმოდ გახსნა 5-6 წლიანთა ჯგუფ „გვირილების“ ვარსკვლავი, ყველა მომავალ პირველკლასელს გადასცა სამახსოვრო ფოტოალბომი და დაულოცა სკოლისკენ მიმავალი გზა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მშობლები, სტუმრები სააღმზრდელო ცენტრიდან, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი თამარ თამაზაშვილი.



# ხსოვნის ტურნირი, რომელიც ტრადიციად იქცევა

26 ივნისს, ქალაქ დედოფლისწყაროში გაიმართა სოსო ჯალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი- ფეხბურთში. შეჯიბრის ორგანიზატორები იყვნენ მისი მეგობრები, რომელთა სურვილია, რომ ტურნირმა ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველ წელს გაიმართოს. „ამ ტურნირის მიზანია ის, რომ ჩვენი გარდაცვლილი მეგობრის სახელი უფრო ბევრმა ადამიანმა გაიგოს, არავინ არ დაივიწყოს და მეტმა ადამიანმა დააფასოს ის“-განაცხადა სოსი ჯალიაშვილის მეგობარმა, ტურნირის ორგანიზატორმა ზურაბ ხოსროშვილმა.



შეჯიბრში 8 ადგილობრივმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილის მფლობელი გახდა გუნდი „ვარსკვლავები“, მეორე ადგილზე გავიდა გუნდი „პირველი მერცხალი“, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა გუნდი „იო“. გამარჯვებულ გუნდს სოსი ჯალიაშვილის სახელობის თასი გადაეცა საჩუქრად, დანარჩენებს კი- სიგელები და მედლები. ტურნირი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა. შეჯიბრს სოსი ჯალიაშვილის მეგობრებთან ერთად მისი ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.

სოსო ჯალიაშვილი 24 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა. ამ დღეს, სოსი ჯალიაშვილი 25 წლის გახდებოდა. ტურნირის ჩატარების დღედ ამ თარიღის არჩევა სიმბოლურ ხასიათსაც ატარებდა. „ტურნირი მინი-ფეხბურთში საუკეთესო საშუალებაა მისი ხსოვნის უკვდავყოფისთვისაც და მისთვის დაბადების დღის მილოცვისთვისაც“ – განაცხადეს მისმა მეგობრებმა.



# ხელოვნების ზეიმი

სხვა დროსაც ბევრჯერ გვინახავს ჩვენი ხელოვნების სკოლის პედაგოგთა კონცერტი, მაგრამ ამჯერად არა მხოლოდ მათი პროფესიული ოსტატობის გამომზეურება იყო, არამედ სკოლის არსებობის მთელი 63 წლის ისტორიაც. შეაღებდით თუ არა სკოლის კარს, ფოიეში გამოფენილი ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების და იმ სურათების გარემოცვაში აღმოჩნდებოდით, რომელიც ამ სკოლის ისტორიას მოგითხრობთ. 1956 წელს დაარსდა მუსიკალური სკოლა ქალაქ წითელწყაროში, 63 წლის განმავლობაში სკოლას ხელმძღვანელობდნენ ოთარ ხოსიტაშვილი, შემდეგ ეკატერინე ცირეკიძე, ათეული წლები ედგა სათავეში სკოლას ნიჭიერი მუსიკოსი და მშვენიერი ქალბატონი ლია ცოფურიშვილი, ის თამილა ნადირაშვილმა შეცვალა, შემდეგ იყვნენ აკაკი მერაბიშვილი და მარიამ კიკილაშვილი. დღეს კოლექტივს ღირსეულად ხელმძღვანელობს დალი ელისაშვილი. თითოეულმა მათგანმა თავისი კეთილი კვალი დაამჩნია სასკოლო ცხოვრებას. მრავალი თაობა გაიზარდა ამ წლების განმავლობაში: ნიჭიერიც, ზენიჭიერიც, მოყვარულიც, ზარმაციც, ბეჯითიც, წყნარიც და კურიოზებით სავსეც. სწორედ ამ სისხლსავსე ცხოვრების ამსახველი ფოტოებიდან შმოგვყურებენ ადამიანები, რომლებიც ნაწილი იყვნენ იმ არაჩვეულებრივი დღეებისა, აქ არაერთხელ რომ გამართულა კონცერტების, საღამოების, შეხვედრების სახით. იყო დრო, როდესაც სკოლაში ოთხასზე მეტი ბავშვი ირიცხებოდა და მათ ორმოცდაათამდე პედაგოგი ემსახურებოდა.ორ ცვლაში მუშობდნენ, საკლასო ოთხებსა და დერეფნებსაც კი იყენებდნენ და კულტურის სახლის ოთახებშიც „იჭრებოდნენ". მრავალი ჯილდო, სიგელი და დიპლომი დაუმსახურებიათ ამ სკოლის აღსაზრდელებს, რომელთა წარმატებებითაც არა მხოლოდ მათი პედაგოგები და სკოლა, არამედ მთელი რაიონი ამაყობდა და ამაყობს დღესაც. ამ სკოლის ჯაფარიძის განყოფილებაში გაიზარდა გამოჩენილი მსოფლიო ბარიტონი ლადო ათანელიშვილი, არბოშიკის განყოფილებაში – დათო ალადაშვილი, მრავალ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, უნიჭიერესი პიანისტი, ასევე საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ნათია ნატროშვილი, უნიჭიერესი და დიდი მომავლის მქონე პატარა ქალბატონი მალვინა ისმაილოვა, რომელმაც ამ სკოლის ორი განყოფილერბა – სავიოლინო და საფორტეფიანო ერთდროულად წარჩინებით დაამთავრა, ახლა ის თბილისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ოცდამერვე ხელოვნების სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა და სულ ახლახანს საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შასრულა მოცარტის ურთულესი მეთერთმეტე საფორტეპიანო კონცერტი და მსმენელის აღფრთოვანება გამოიწვია, ამ სკოლამ შექმნა ბრენდები – „დები ლოლაშვილები" (ანა, მარიამი და ლიკა), „დები ყოჩიაშვილები"(ანასტასია, ლიზი და მარიამი). მომღრალ და მგალობელ გოგონათა გუნდი თეონა ბენაშვილის, ლოლაშვილების, ქეთი ჩაფიაშვილის, სოფიო მენთეშაშვილის შემადგენლობით, რომელთა წარმატება გასცდა საქართველოს ფარგლებს და მათ სულ ახლახანს მეორეჯერ მოიპოვეს პირველი ადგილი და ოქროს მედალი მეხუთე საგუნდო კონკუსზე, სკოლის კურსდამთავრებული, ნიჭიერი მევიოლინე ანა ჩუთლაშვილი და სხვები, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ამ წარმატებების უკან დგას დიდი შრომა მათი პედაგოგებისა, რომლებიც თავდაუზოგავად და უანგაროდ ილვწოდნენ, მთელს თავის ცოდნასა და ენერგიას სდებდნენ მათ წარმატებულ მუსიკოსებად თუ კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. კონცერტი მიჰყავდა ერთ-ერთ წარმატებულ პედაგოგს და მშვენიერ ქალბატონს ლია ხაჩიაშვილს. აქ თავი მოეყარათ მათ, ვინც ამ სკოლის ნაწილი იყო და არის. დღეისთვის მოქმედ, ყოფილ და სტუმრად მოწვეულ პედაგოგებს, რომლებმაც აქ დაიწყეს თავისი მოღვაწეობა და შემდგომ სხვაგან გააგრძელეს. ამიტომ მონატრების და სიყვარულის სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. ძველის გახსენების და სიახლეების გაგების მომენტი იკვეთებოდა.ზოგი სცენაზე იდგა, ზოგი დარბაზიდან აქტიურობდა. იყო ამ თავმოყრით გამოწვეული დიდი სიხარული. დიდი ემოცია გამოიწვია ცხოვრების რთული პირობების გამო საზღვარგარეთ წასული პედაგოგის ციცინო ონანაშვილის ეკრანზე გამოჩენამ.ის შორეული ამერიკიდან მიესალმა ყოფილ თანამშრომლებს, მეგობრებს, რომლებთან ერთადაც არაერთი წელი გაატარა:- „ჩვენს სკოლას მუდამ დიდი ადგილი ეჭირა რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. ვუერთდები თქვენს საზეიმო განწყობას და გილოცავთ დღევანდელ დღეს. გისურვებთ წარმატებებს, გეფერებით და გკოცნით ყველას დიდი სიყვარულით და მონატრებით," – თქვა ქალბატონმა ციცინომ და ნოსტალგიით თვალსმომდგარი ცრემლი მოიწმინდა. მასთან ერთად გაიხსენეს ის თანამშრომლები, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ სამსახური, ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და წასულიყვნენ საზღვარგარეთ საარსებო ეკონომიკური მდგომარეობის შესაქმნელად იმიტომ, რომ ხელოვნების სკოლის პედაგოგთა ხელფასი დღეს უკიდურესად დაბალია, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირებული, რადგან მუსიკალური განათლების მიღება სახელმწიფო მხრიდან არ ფინანსდება,გაღარიბებულ მისახლეობას კი, გადასახადის მიზერული რაოდენობის მიუხედავად, შესაძლებლობა არა აქვს, შვილები ხელოვნების სკოლაში ატაროს.ამიტომაც აღმოჩნდნენ იტალიაში თინიკო ვაიტაძე, ნინო სვანიძე,მაგული ცქიტიშვილი, გურანდა ბოსტოღანაშვილი, ისრაელში – ირმა ოზაშვილი და ხათუნა ფიროსმანაშვილი, თურქეთში – ქეთინო გოგილაშვილი, ამერიკაში – მარიკა პოპიაშვილი და ციცინო ონანაშვილი. წლობით ერთად გატარებული თანამშრომლობის გამო ძალიან უჭირს ორივე მხარეს ეერთმანეთობა. ერთ-ერთი, რაც არის შესაძლებელი, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით უკავშირდებიან და თვალყურს ადევნებენ ერთმანეთის ცხოვრებას.

საღამოზე გულისტკივილით გაიხსენეს ის კოლეგები, რომლებიც წლების განმავლობაში მათ გვერდით მუშაობდნენ და დღეს აღარ არიან – დალი ძიძიკაშვილი,ლია ცოფურიშვილი, ალა ცერცვაძე, ეთერ კოჭლამაზაშვილი, ეთერ ალადაშვილი, ზიზო ბიკაშვილი,ფიქრია ქადაგიძე და სხვები.მათი სულების საოხად სცენაზე აინთო წმინდა სანთლები და ხელოვნების სკოლის პედაგოგთა ანსამბლმა შეასრულა სიმღერა „დედა". ეკრანზე კი ერთმანეთს სცვლიდა სლაიდები, რომელიც ასახავდა მათ მოღვაწეობას და აქტივობას სხვადასხვა კუთხით.



სცენა არაერთგზის დაეთმო ხელოვნების სკოლის პედაგოგთა ანსამბლს ლია ხაჩიაშვილის,ნინო ალადაშვილის,დალი ხუციშვილის, მანანა მაჭარაშვილის, ნინო ნიკვაშვილის, თამუნა კიკილაშვილის, ნინო მანჯაფარიშვილიოს,მარიკა პირზადოვა-მგელიაშვილის შემადგენლობით (ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი).

თავიანთი მაღალი სამშესრულებლო ოსტატობით მოხიბლეს მსმენელი დუეტში თუ ცალ-ცალკე თამილა ნადირაშვილმა (ფორტეპიანო) და თამუნა კიკილაშვილმა (ვიოლინო). როგორც ყოველთვის, ახლაც მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა მარიამ კიკილაშვილმა, სცენა დაეთმო ზემო-მაჩხაანის სამუსიკო განყოფილების პედაგოგს ნათელა მესროფიან – ნასრაშვილს, რომელმაც შეასრულა გუდიაშვილის პრელუდია. დალი ხუციშვილისა და თამუნა კიკილაშვილის მიერ დუეტში შესრულებულმა შოსტაკოვიჩის „ვალსმა" კი დარბაზი ააცეკვა. სულშიჩამწვდომი საგალობლების შესრულებამდე მეგობრებს – ლიკა და მარიამ ლოლაშვილებს, გამოეყო თეონა ბენაშვილი და სიტყვის თქმის უფლება ითხოვა: – გალობა ჩვენი ცხოვრების ორგანული ნაწილია. დიდი მადლობა ჩვენს გალობის პედაგოგს მარიკა პირზადოვას, რომელმაც გვაზიარა და სისხლხორცეული გახადა ჩვენთვის ეს მიმართულება, მადლობა ჩემი ფორტეპიანოს მასწავლებელს ლეილა იაკობიშვილს, უდიდესი მადლობა დალი ელისაშვილს გოგონათა ანსამბლ „მანდილში" გატარებული უმშვენიერესი წლებისთვის. ჩვენ მათ ამ ამაგს დავუბრუნებთ იმ წარმატებებით, რომელსაც მივაღწევთ ჩვენი მუსიკალური ცხოვრების გზაზე,"- თქვა მან მეგობრების სახელითაც და სამი უფაქიზესი საგალობელი შესთავაზეს მსმენელს.

მუსიკალურ სკოლაში გატარებული წლები გაიხსენეს პედაგოგებმა მედეა მაჭარაშვილმა და ნანა ვარდიაშვილმა.

-1956 წელს დიდი მოვლენა იყო რაიონისთვის, როდესაც გაიხსნა მუსიკალური სკოლა და მე და მადლენა ყოჩიაშვილი ვიყავით ამ სკოლის პირველი ნაკადი 60 ბავშვთან ერთად. მუსიკალური სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 სამუსიკო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი რაიონში და დავიწყე მუშაობა ფორტეპიანოს პედაგოგად. 21 ბავშვი მომაბარეს, მათ შორის 17 – პირველკლასელი. აი, ასეთი დატვირთული იყო მაშინ მუსიკალური სკოლები. 9 წელი ვიმუშავე მშობლიურ სკოლაში, შემდეგ, ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად გადავედი თბილისში და საქმიანობა გავაგრძელე ოცდამეერთე ხელოვნების სკოლაში, სადაც დღემდე ვმუშაობ. თუმცა, ყოველთვის დიდი ინტერესით ვადევნებ თვალყურს ამ სკოლის ცხოვრებას. მიხარია მათი წარმატებები და მიღწევები. დიდი სიყვარულით ვიხსენებ განვლილ წლებს, იმ თბილ გარემოს, პედაგოგებს, რომლებთან ერთადაც ვმუშაობდი. კვლავაც წარმატებებს გისურვებთ,-თქვა ქალბატონმა მედეამ.

ამ სკოლაში თავისი ოცწლიანი მოღვაწეობა გაიხსენა ნანა ვარდიაშვილმაც.

– ეს კედლები ჩემთვის მშობლიურია და ახლა, ამ სცენაზე ისევ ისე მძაფრად მიცემს გული და მიპყრობს ემოცია, როგორც მაშინ, როიალს ძლივს რომ ვწვდებოდი და პატარ-პატარა მინიატურებს ვასრულებდი. აქ გაიღვიძა ჩემმა სიყვარულმა მუსიკისადმი. ვერ დავივიწყებ ჩემი მასწავლებლების-მერი რუაძის, ზიზო ბიკაშვილის და ნაირა ბუტიკაშვილის ამაგს, ჩემი სოლფეჯიოს პედაგოგის ლალი ჯაგაშვილის ნათქვამს: დაამთავრებ და აქეთ აღარ მოიხედავო, მაგრამ ჩემმა ქალიშვილებმა კვლავ დამაბრუნეს მუსიკის სამყაროში, ამ კედლებში. მე და ქალბატონი ლია ხაჩიაშვილი თანაკლასელები ვიყავით. ის დღეს ჩემი შვილების მასწავლებელია და მეამაყება ამ სკოლის ყველა წარმატებული ნაბიჯი. გისურვებთ გამძლეობას ამ ძნელადსავალ გზაზე, – ასე მიმართა სკოლის კურსდამთავრებულმა, ექიმმა დიმიტრი ყოჩიაშვილმა.

ხელოვნების სკოლის კოლექტივს მიესალმა და ბევრი რამ გაიხსენა კულტურის სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ნელი გობეჯიშვილმა.

- მუსიკა საერთაშორისო ენაა და მას ბადალი არ ჰყავს. მადლობა, რომ მომიწვიეთ და მომეცით საშუალება, მოგფერებოდით. ათეული წლები გავატარეთ ერთ სისტემაში. თქვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე ვიყავი მუდამ და ვრჩები დღესაც. სულ რაღაც 5-6 მასწავლებელი გვყავდა ადგილობრივი. ამიტომ, ჩემი პირველი მიზანი იყო, აღზრდილიყო ამ სკოლაში სამომავლო პადაგოგიური კადრი და ეს მიღწეულია. დღეს ყველა ადგილობრივია, ამ სკოლის კურსდამთავრებულია. ჩემს დროს გაიხსნა ვიოლინოს და ფლეიტის კლასები, სოფლის მუსიკალური სკოლები, გამოიზარდა ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი, საამაყოა, რომ ამ სკოლის კურსდამთავრებულები ორი კომპოზიტორი გვყავს ირაკლი და მარიამ კიკილაშვილების სახით. კვლავაც წარმატებით გევლოთ, - თქვა მან.

წარსულის საინტერესო ექსკურსი გააკეთა მომღერალმა ვასიკო მაჭარაშვილმა, - ძვირფასო მეგობრებო, აქ, სადაც ახლა ჩვენ ხელოვნების სკოლის ღვაწლზე ვსაუბრობთ, მისი ფუძე არ არის. მაშინ ეს იყო კინო-დარბაზი, ზაფხულში ამ ეზოში მოწყობილ ღია სცენაზე, ხოლო ზამთარში შიგნით, ცოცხლად უკრავდა სასულე ორკესტრი და ჩვენი მშობლები და პაპა-ბებიები ევროპულ ცეკვებს ცეკვავდნენ. ყოველ საღამოს იყო დიდი მხიარულება და გართობა. მუსიკალურმა სკოლამ კი 1956 წელს ფუნქციონირება დაიწყო აქვე, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე და იქ ფუნქციონირებდა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე. სწორედ იქ დავიწყეთ სიარული მე და ჩემმა უფროსმა დამ მედიკომ. სულ 2-3 ბიჭი ვიყავით და დანარჩენი ბიჭები მასხრად გვიგდებდნენ, „გოგოებსა" და „ქალასნანებს" გვეძახდნენ. არც გოგოები გვთვლიდნენ „ღირსეულ" ბიჭებად, ამიტომ, გული ავიცრუეთ და მივატოვეთ სკოლა, რასაც ახლა ძალიან ვნანობ, რადგან მთელი ჩემი ოჯახის შემადგენელი ნაწილია მუსიკა, ორივე და მუსიკის პედაგოგია, მე მთელი ცხოვრება ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლ „ხორნაბუჯის" წევრი და ერთ-ერთი სოლისტი ვარ. სწორედ ამ „მუსიკალური ბავშვების ხათრით" მისცეს ჩემს ოჯახს რაიკომში გასანაწილებლად მოსული პიანინო, რომელიც დღემდე ჩემს ოჯახში დგას, როგორც რელიქვია.

ეს კაბალური შრომაა,-ასე შეაფასა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა ის შრომა , რასაც მუსიკის მასწავლებლები ეწევიან, რადგან თავად წლების მანძილზე იყო ამ კოლექტივის ნაწილი და დღეს დიდი ქომაგია მათი.მან მადლობა გადაუხადა თითოეულ მათგანს და გამორჩეულად სოფლის განყოფილებების მასწავლებლებს, რომლებსაც უფრო რთულ ვითარებაში უწევთ მუშაობა.

სახელოვნებო სკოლის ფუნქციაზე, მათ ღვაწლზე, დამსახურებასა და პრობლემებზე ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა: – 63 წელი დიდი დროა, როცა უწყვეტად მიმდინარეობს კლასიკურ მუსიკასთან მომავალი თაობის ზიარება. დასამალი არ არის , რომ მუსიკის პედაგოგების შრომა სათანადოდ არ არის დაფასებული ეკონომიკური თვალსაზრისით,ხელოვანთა გზა ია-ვარდით არასდროს ყოფილა მოფენილი, მაგრამ სიამაყის გრძნობას იწვევს თქვენი წარმატებები, ხელოვნება გადის ჩვენს გულებზე, ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებაზე და სამუდამოდ იმკვიდრებს ადგილს. დიდია ამ ადამიანების წვლილი, ვინც დღეს აქ დგახართ, ვინც ცხოვრებამ ემიგრაციისთვის გაწირა, ვინც ამქვეყნად უკვე აღარ არიან, ყველა ამ საქმის გმირები ხართ. მინდა , მადლიერების ნიშნად რამოდენიმე თქვენგანი საპატიო სიგელებით დავაჯილდოვო, თუმცა, ჯილდოს ყველა იმსახურებთ, ეტაპობრივად თითოეულ თქვენგანს მოვეფერებით, -თქვა ბატონმა ნიკოლოზმა და ჯილდო გადასცა: დალი ელისაშვილს, ნინო ლაპიაშვილს, თამილა ნადირაშვილს, ნინო ალადაშვილს, დალი ხუციშვილს, მარიამ კიკილაშვილს და ლია ხაჩიაშვილს. მან გამორჩეული მადლიერება გამოთქვა სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის მადლენა ყოჩიაშვილის მიმართ, რომელმაც ორმოცდათოთხმეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდული ენერგია და შემართება აქვს, დამსახურებულ პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. თითოეულ მათგანს გადაეცა სამახსოვრო სიმბოლური საჩუქრები ხატის სახით.

კონცერტზე ბოლო მუსიკალური ნომერი - დებიუსის „მთვარის შუქი"შეასრულა სკოლის გამორჩეულმა და „უცნაურმა" მოსწავლემ რეზო ქადაგიშვილმა, რომელმაც მუსიკის შესწავლის სურვილი 14 წლის ასაკში გამოთქვა. დღეს ის საჯარო სკოლის მეათეკლასელია, ხოლო მუსიკაში - მეოთხე კლასშია. მან პედაგოგ მადლენა ყოჩიაშვილის და მარიამ კიკილაშვილის ძალისხმევით და დახმარებით ერთ წელიწადში ექვს-შვიდწლედის საშემსრულებლო დონე დაძლია, რაც იშვიათი მოვლენაა ზოგადად.

წამყვანმა ლია ხაჩიაშვილმა სცენაზე მიიწვია კურსდამთავრებული ნინო ლომსაძე და მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისთვის, რომელიც მან გაუწია მას, როგორც ოპერატორმა. თავის მხრივ ნინომ გამოთქვა მადლიერება ნდობისთვის და გამოთქვა მზადყოფნა, ყოველთვის იყოს სკოლის ინტერესების შემსრუბელი.

მსურველებს საჩუქრად გადაეცათ მარიამ კიკილაშვილის წიგნი „ყოველი საიდუმლო წიაღს აღმოვალ". მარიამი აგრეთვე გახლავთ ავტორი მეთოდური სახელმძღვანელოსი, რომელიც სკოლის მუშაობას ძალიან გამოადგა და ორიც სხვა მუსიკალური ნაწარმოებისა.

კონცერტის დასასრულს დარბაზმა და პედაგოგებმა ერთად შეასრულეს „მრავალჟამიერი", რასაც მოჰყვა ფოიერვერკები და მქუხარე აპლოდისმენტები. ეს მშვენიერი და დაუვიწყარი დღე იყო თითოეული იქ მყოფისთვის.

მე კი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე და ამ წერილის ავტორი ვიტყვი: – რა უფერული, ულაზათო, უსიყვარულო და აღმაფრენისგან დაცლილი იქნებოდა ცხოვრება, ხელოვნება რომ არ არსებობდეს. მაშ, გიყვარდეთ მუსიკა და პატივი ეცით ადამიანებს, რომლებიც მას ემსახურებიან.

ნაირა გორაშვილი

# საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება“ - პირველი ქართული ელექტრომობილის დიზაინს ზვიად ციკოლია შექმნის

„საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება“,-ამის შესახებ დიზაინერი, გამომგონებელი ზვიად ციკოლია საკუთარ „ფეისბუკ“ გვერდზე წერს, რითაც საქართველოში ელექტრომობილების წარმოების დაწყებას ეხმაურება. როგორც ცნობილია, პირველი ქართული ელექტრომობილის დიზაინზე სწორედ ზვიად ციკოლია იმუშავებს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დიზაინერის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ალბათ უკვე გაიგებდით მედიიდან, რომ გუშინ ქუთაისში იყო AIGROUP-ის პრეზენტაცია და ქუთაისში იწყება ელექტრომობილების წარმოება. მე განსაკუთრებული ემოციები მეუფლება ქართულ პროდუქციაზე და განსაკუთრებით ემოციური ვხდები, როცა ეს ტრანსპორტს ეხება. ასე იყო დიდგორზეც და ლიზის




ფრენის დროსაც. მოკლედ საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება და დარწმუნებული ვარ, ამ რთულ გზაზე ჩვენ, მთელი გუნდი და მთლიანად საქართველო დიდ წარმატებებს მივაღწევთ!“,- წერს ზვიად ციკოლია.

შეგახსნეებთ, რომ გუშინ ინდუსტრიული ჯგუფი „აი გრუფის“ მიერ ქუთაისში, საქართველოს ისტორიაში პირველი ელექტრომობილების მწარმოებელი ქარხნის პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ღონისძიებაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა, ქუთაისში წარმოებული ელექტრომობილები არა მხოლოდ საქართველოს ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი.

„ჩვენ ვაშენებთ მწვანე ეკონომიკას. მწვანე ეკონომიკა ნიშნავს, რომ ვანვითარებთ ახალ, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს. ქუთაისის ელექტრომობილების მწარმოებელი ქარხანა სწორედ ასეთი პროექტია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საწარმო იხსნება სწორედ ქუთაისში, რომელიც ცნობილია თავისი ინდუსტრიული ტრადიციებით. ამ პროექტის განხორციელებით ქუთაისი იბრუნებს მანქანათმშენებლობის დედაქალაქის სტატუსს,“ - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

პროექტის თანახმად, ინდუსტრიული ჯგუფი „აი გრუფი“ ქუთაისში ინდუსტრიული კომპლექსის მშენებლობას იწყებს, რომელიც 100 ჰა ფართობზე განთავსდება. პირველი პროექტი ელექტრომობილების საწარმოა, სადაც საწყის ეტაპზე დაახლოებით 300 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება, ხოლო საწარმოს წარმადობა იქნება 5000 ელექტრომობილი. პროექტი ხორციელდება მსხვილი ჩინური კორპორაციის „ჩანგანის“ პარტნიორობით.

# „და სკოლისკენ ჰერი, ჰერი....“

მიიწურა კიდევ ერთი სასწავლო წელი და სკოლების მერე ახლა ბაღებში ჩამოჰკრა გამოსამშვიდობებელი საღამოების სხვადასხვა მელოდიამ. 26 ივნისს №1 საბავშვო ბაღს ვეწვიეთ, აღმზრდელმა თეა სიფრაშვილმა თანაშემწე ნატო ჯამასპიშვილთან და მუსიკის მასწავლებელ მარინა ბოსტაშვილთან ერთად კიდევ ერთი ახალი თაობა გაუშვა სკოლისკენ, მაგრამ ეს მხოლოდ დამშვიდობება არ იყო, ეს მთელი ერთად გატარებული წლების ნაშრომის ერთობლიობა იყო. ბაღი ხომ აღსაზრდელს სკოლისთვის ამზადებს და შესაბამისად, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია მათი სოციალური და ემოციური უნარების განვითარებისათვის. ისინი აქ თავისუფლდებიან მთელი რიგი კომპლექსებისგან და მეტად სოციალიზებულნი და მოტივირებულნი ხდებიან.



„-ჩვენს მიერ ბაღში გატარებული წლები ულამაზესი იყო, აქ ვისწავლეთ უფროსის პატივისცემა, მეგობრობა, ზღაპარივით ფერადად ჩაიარა ოთხმა უდარდელმა წელმა, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენს ცხოვრებაში, ჯერ ვტიროდით, თითქოს გვიჭირდა თავიდან, ახლა კი ვტირით იმიტომ, რომ გვიმძიმს ამ კედლების დატოვებაო“-ეს ემოციური სიტყვები პატარა ანამ განგვიცხადა.

დიახ, მათი ცხოვრების ერთი ეტაპი აქ დასრულდა და ამ არცთუისე მოკლე მანძილზე ბევრი რამ აითვისეს და სრულიად მომზადებულები ეწვევიან სკოლას, დანარჩენი კი, შემდეგ საფეხურზე როგორ გაგრძელდება მათი ცხოვრება, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ თეა მასწავლებელს, მიუხედავად მისი პირადი ტრაგედიისა, მათთვის არაფერი მოუკვლია, ეს ცხადზე ცხადი იყო იმ დღეს და სხვა დანარჩენ დღეებშიც, როგორც ამას მშობლები ამბობენ და მადლიერებას გამოხატავენ.

გამოსაშვებ ზეიმზე ბევრი ლექსი წარმოთქვეს ბავშვებმა, იცეკვეს, იმღერეს, მაგრამ მაინც ყველაზე მეტს აქ გატარებული წლების ირგვლივ გვესაუბრებოდნენ, იხსენებდნენ მოსვლის წუთიდან ამ დღემდე რამდენი რამ გადახდენიათ, რამდენჯერ გაუბრაზებიათ მასწავლებელი თუ ერთმანეთი, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც უკვე იციან და მოგვითხრობენ, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ აქვთ შესასწავლი სკოლაში, ისიც იციან, „დედა ენის“ ძეგლი რომ დადგა ქართველმა ხალხმა, რომელიც „უკვდავების და თაყვანისცემის სიმბოლოა ჩვენი ერისთვის“. უკვე ბევრი რამ, იციან ქართული ანბანის შესახებ იციან, „რომ პალესტინაში, ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკა წაშალეს“, რადგან უკვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებაც უამბოთ მასწავლებელმა, გალაქტიონის, ვაჟას, ილიას შესახებაც. ის რომ „ქართული სუფრა დიდი აკადემიაა, ქართული სიბრძნის და სიკეთის ასპარეზია“, ეს ლექსიდანაც შეიტყვეს. პატრიოტულ თემატიკას ყოველთვის დიდი ადგილი უკავია ამ ღონისძიებებში, რადგან ეს ის ასაკია, როდესაც ხშირად გაუცნობიერებლად, მაგრამ ღრმად ილექება მეხსიერებაში სიტყვები, ფრაზები:“აღმაშენებლის სამშობლოდან ვარ, იქაა ჩემი სულის საუფლო, სადაც სიმღერით ომებს იგებენ, სადაც ყოველი ლექსად საუბრობს“. დიახ, მთელი ცოდნის ერთობლიობა იყო წარმოდგენილი ამ ულამაზეს გამოსაშვებ საღამოზე, ულამაზეს ფორმებში გამოწყობილი ბავშვების მიერ, მათ მიერ, ვინც განსაზღვრავს ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს, რომელიც სწორედ დღეს, აქ, ამ დარბაზებში იწერება ჩვენს მიერ, თითოეული მშობლის თუ პედაგოგის დახმარებით.

დასასრულს, ემოციური გამოსამშვიდობებლი სიტყვებით დაემშვიდობა თეა მასწავლებელი თავის 18 აღსაზრდელს და ბედნიერი მომავალი უსურვა მათ. მშობლებმა მადლობა გადაუხადეს მას და საბავშვო ბაღის მთელ გუნდს, მათ შვილებზე ასეთი მშობლიური გარემოს შექმნისა და ზრუნვისათვის.

* * *

27 ივნისი, N2 საბავშვო ბაღი, განწყობა და შინაარსი კვლავ ერთნაირია. აღმზრდელი თამუნა ლომსაძე თანაშემწე მაია ბენაშვილთან და მუსიკის მასწავლებელ აზა ლაპიაშვილთან ერთად 20 აღსაზრდელის გაცილების სამზადისშია, ღელავენ უროსებიც და მათი აღზრდილებიც. არ არის ადვილი, ასეთი თბილი, უკვე კარგად ნაცნობი, კომფორტული გარემოს დათმობა და ახალთან შეგუება, მაგრამ ეს ცხოვრების კანონზომიერებაა, რომელსაც ვერ შევცვლით.

„დღეს ჩვენი დღეაო“, შემოგვძახეს პატარებმა და ულამაზესი, კოსტუმირებული სანახაობაც დაიწყო. „ზაფხულის ამ უმშვენიერეს დღეს ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ საბავშვო ბაღს, ვეთხოვებით ზღაპრული სამყაროს ფილმების ჯადოსნურ გმირებს და სათამაშოებს, რომლებიც უკვე უჩვენობას განიცდიან“-გვეუბნება საბა და ღრმად დაგვაფიქრებს ამ სიტყვებზე. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სამეჯლისო ცეკვებსა თუ სიმღერებში მომავალი მოსწავლეები და გვარწმუნებენ, რომ ნელ-ნელა ეგუებიან ბაღიდან წასვლის ტკივილს, რადგან ახალი ცხოვრება მათ თამუნა მასწავლებელმა ძალიან ლამაზად დაუხატა და ამ ლამაზ ფერებში ეცდებიან, ისე გააგრძელონ გზა, არასოდეს შეარცხვინონ, მშობელი, მასწავლებელი და უპირველესად, სამშობლო. „მრავალჟამიერივით შეწყობილი ყოფილიყოს ჩვენი პირველი ნაბიჯები ცხოვრების გზაზე, რომელიც ამ ბაღის კედლებიდან დავიწყეთ და სკოლაში გავაგრძელებთო“-საკუთარ გზას ლოცავენ პატარები და ემოციებს ემოციები ემატება. განსაკუთრებული მხატვრული დიდოსტატობით დადგეს“მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მოკლე ეპიზოდი და მაინც სევდანარევ საღამოზე გაამხიარულეს მაყურებელი. დასასრულს, თამუნა მასწავლებელი კიდევ ერთხელ მოეფერა პატარებს და სამახსოვრო ალბომები გადასცა. იყო უამრავი ფეიერვერკი, ცრემლი, სიხარული...



ელზა ხარაშვილი

## ხსოვნა

### სოსი ჯალიაშვილი



ჩემი ცხოვრების იმედის სხივო, ჩემო ახდენილო ოცნებავ, დედას სუნთქვავ და სიამაყევ, მიჭირს უშენობა...

სულ შვიდი თვე გავიდა, რაც შენს ლამაზ თვალებს ველარ ხედავს დედა; მენატრები, უთბილესო შვილო, 26 ივნისი ხომ შენი დაბადების დღეა, დღე, რომელსაც 24 წელი ვზეიმობდით ერთად.

როგორ შევხვდე ამის მერე ამ თარიღს უშენოდ, დღე, რომელიც სიხარულის მაგივრად ტკივილს გვმატებს.

დედას გაფრენილო ანგელოზო, ღმერთს ვევედრები, რომ შენს სულს ნათელი და სანთელი ჰქონოდეს მუდამ. იძინე მშვიდად, მსუბუქი იყოს შენი მეგობრების მუჭა-მუჭა მოყრილი მიწა და იმ იმედით ვაგრძელებ ცხოვრებას, რომ მალე შევხვდებით და ჩაგიხუტებს დედა.

შენი გულმოკლული დედა

## მონატრება

### თორნიკე შიუკაშვილს!



ჩემო თორნიკე, 3 ივლისს შენ 50 წლის გახდებოდი. 24 წლის ასაკში სამშობლოს შეწირულო, თბილისის ძმათამკვლელ ომში, უგუნურად გაცემული ბრძანების შედეგად შენს საყვარელ ტანკში საკონტროლო გასროლით ჩაცხრილულო, უკვე მაიორის ჩინის უმაღლესი განათლების მქონე სამხედრო ოფიცერო, რომელიც გია ყარყარაშვილის ხელმძღვანელობით, “თეთრი არწივის” ბიჭებთან ერთად, სამაჩაბლოს იცავდი. თბილისში მშვიდობის დესპანად ჩამოსულს, სიკვდილმა გიყელა და დააობლა შენი ერთი წლის მარი. მაშინ დაეცა პირველი მეხი შენს ოჯახს და ჩვენ ყველა, მათთან ერთად, გაგვანადგურა. მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე და ახლა, როცა დილის წირვაზე მდგომს მესმის „ღმერთო, დაუმკვიდრე ნათელი თბილისში ძმათამკვლელ სამოქალაქო ომში მომწყდართო“, მე, ყველა მათგანთან ერთად, გამორჩეულად შენ გიხსენებ და გინთებ სანთელს. იმ განუკითხაობის დროს, ძლივს ჩამოვაღწიეთ თბილისში,რომ უკანასკნელ გზაზე გაგვეცილებინე. ახლაც, როცა ამ წერილს ვწერ, თვალთაგან ცრემლი ღაპა-ღუპით მდის და გული მტკივა, რომ ამ ქვეყანას აღარ ამშვენებ ერთი ნაღდი ქართველი, პატრიოტი, ალალ-მართალი, უღალატო და სიყვარულით სავსე ადამიანი, რომ არ გაქვს დიდი და ძლიერი ოჯახი და შენს ნაფუძვარზე მხოლოდ ერთადერთ სანთლად მარიამ შიუკაშვილი ანთია, რომელიც, შენი ანდერძის თანახმად, „ქართველ ქალად“ გაგიზარდა უბედურმა დედაშენმა. უბედური შემთხვევით არ მიწოდებია მისთვის, რადგან გაუგონარი ტრაგიზმით არის სავსე მისი ცხოვრება. ქალმა, რომელმაც ორი შვილი გაზარდა და ორივეს თავისი ხელით მიაყარა მიწა, ქალმა, რომელსაც 26 წელია, ძაძები აცვია და გაგლეჯილი გულით და მწუხარე სულით მაინც გაგიზარდა შვილი. მარის მეტი არავინ შემორჩა მის ცხოვრებას. მეორე მეხი მაშინ დაეცა შენს ოჯახს, როდესაც შენი ერთადერთი და, ოპერის ბრწყინვალე და დიდი მომავლის მქონე სოლისტი, შენი და ჩვენი თამრიკო, ერთკვირიანმა, ელვის სისწრაფით განვითარებულმა ჰეპატიტმა, ისე მოულოდნელად გამოასალმა სიცოცხლეს, გააზრებაც კი ვერ მოვასწარით, რა უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავს. ის 34 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და უოჯახოდ და უშვილძიროდ გადაეგო, გაქრა ამ ცხოვრებიდან უკვალოდ, მხოლოდ მისი ულამაზესი სურათები დაგვრჩა სხვადასხვა ოპერებიდან, დღესაც შავ ჩარჩოში ზის თქვენი ბავშვობის სურათი, საიდანაც ორი უმანკო ბავშვი ანგელოზის თვალებით იყურება. ჩემო ძვირფასებო, ჩემო თორნიკე და ჩემო თამრიკო (ცალ-ცალკე ვერ გახსენებთ), ამ წერილს რომ წაიკითხავენ, თქვენ გაახსენდებით ჩემი ოჯახის ახლობლებს, მეზობლებს, მეგობრებს, ჩემი ზურას და მაგდას თანაკლასელებს, უბნის გოგო-ბიჭებს, რადგან, ზაფხულის ცხელ დღეებს თბილისიდან „გამოქცეულები“, ჩემს ოჯახში ატარებდით არდადეგების დიდ ნაწილს, ერთად დადიოდით ტბაზე, ცურვას და ყვინთვას ასწავლიდი თანატოლებს, როგორც ამ სპორტის პირველთანრიგოსანი, თამრიკო კი თავისი შეუდარებელი ხმით, ჩვენს აივანზე ჩატარებული კონცერტებით და კისკისით გაახსენდება ყველას. ნათელმირონით სამუდამოდ დაკავშირებულო, ჩემ შვილებთან სათქმელო, უდროოდ მზედაბნელებულო საჯიშე ქართველებო, გიხსენებთ გულისწყვეტით და ტკივილით. ნათელში იყავით. დაბადების საიუბილეო 50 წლისთავს გილოცავ, ჩემო თორნიკე.

**შენი ნათლია**-ნაირა გორაშვილი.

# საფორტეპიანო მუსიკის საზაფხულო კონკურსებზე



საქართველოში კლასიკური მუსიკის სულ რამოდენიმე კონკურსი ტარდება ყოველწლიურად. უკვე თორმეტი წელია ,რაც დაარსდა კონკურსი-„მომავლის ვარსკვლავები“, რომელიც საქართველოს მასშტაბებს მოიცავს და ამიტომ ორტურიანია.

პირველი ტური, ანუ კახეთის ზონის ტური გაიმართა ქ. თელავში – მარტის თვეში. ჩვენი სკოლიდან ამ კონკურსზე წარსდგა ერთი მოსწავლე ნინო ალულიშვილი-IV კლ. (პედ. ლია ხაჩიაშვილი, კოორდინატორი მარიამ კიკილაშვილი). ნინომ წარმატებით გაიარა პირველი ტური და მიიღო უფლება, ქ. თბილისში გალა კონცერტში მონაწილეობისთვის, სადაც მოიპოვა კონკურსის ლაურეატის დიპლომი.

მაისის თვეში ქ.თელავში ჩატარდა კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის სახელობის კონკურსი. ეს კონკურსი სულ სამი წელია, რაც დაარსდა კომპოზიტორის თელავური წარმოშობის გამო და ამ კონკურსმა ამ მოკლე დროში საერთაშორისო მასშტაბებს მიაღწია.

ამ კონკურსზე ჩვენი სკოლიდან წარსდგნენ და შემდეგი წარმატებები მოიპოვეს:

1. ნიკოლოზ პაპაშვილი-IV კლ- III ადგილი და დიპლომი(პედ. დალი ხუციშვილი, კოორდინატორი მარიამ კიკილაშვილი).
2. ნინო ალულიშვილი -IV კლ- IV ადგილი და დიპლომი (პედ. ლია ხაჩიაშვილი, კოორდინატორი მარიამ კიკილაშვილი).
3. ელიზავეტა ცქიტიშვილი-IV კლ- IV ადგილი და დიპლომი (პედ. ნინო ლაპიაშვილი).
4. გიორგი ბოდაველი -III კლ- IV- ადგილი და დიპლომი (პედ. ნინო ალადაშვილი, კოორდინატორი მარიამ კიკილაშვილი).
5. თეკლა წიკლაური -III კლ- IV ადგილი და დიპლომი (პედ. თამილა ნადირაშვილი).

ვუსურვოთ პატარა პიანისტებს შემოქმედებითი სიხარული და სკოლას მრავალი ნიჭიერი თაობების ცვლა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დირექცია.



# მეშვიდე პრემიერა და თაობათა ცვლა „ბერიკონში“

„ძლევაი საკვირველი“-რიგით მეშვიდე სპექტაკლია, რომელიც ახალგაზრდა ბერიკონელებმა ხელმძღვანელთან ერთად შესთავაზეს მაყურებელს. მანამდე კი იყო... ნერვიულობა, ღელვა და შფოთვა- ახდებოდა თუ არა თუ არა ნანატრი ოცნება, შედგებოდა თუ არა იდეის ავტორისგან კარგი რეჟისორი, ხოლო ნორჩი მსახიობებისგან-თეატრალური დასი... პირველმა პრემიერამ გაამართლა. გუშინდელივით ახსოვთ: აპლოდისმენტები და გულთბილი მილოცვები, რომელსაც შთაბეჭდილებების წიგნი ინახავს...წარმატებამ სტიმული მისცა



რეჟისორსა და მსახიობებს და მომავალი გამარჯვებისკენ სავალი გზა გაუიოლა.

5 წლის წინ, დედოფლისწყაროში, 25 წლიანი პაუზის შემდეგ, ახალგაზრდული თეატრი ამოქმედდა. ხუთწლიანი არსებობის მანძილზე, თეატრ „ბერიკონის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ცარო მარტიაშვილმა და დასის წევრებმა შეუძლებელი შეძლეს.

არცთუ დიდხნიანი არსებობის მანძილზე, იყო „ბასიანის ბრძოლა“, „მარტოობის დღესასწაული – ამბავი ნიკო ფიროსმანისა“ „სტუმარ-მასპინძელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“. ბოლოს ისე „გაკადნიერდნენ“, რომ შექსპირსაც შეჰბედეს... „ჩვენი შექსპირი“-ს პრემიერამაც წარმატებით ჩაიარა... და ბოლოს, 25 ივნისს იყო ემოციური, ცრემლებიანი დამშვიდობება -„ბერიკონის“ საუკეთესო თაობამ სცენა დატოვა და ბოლო პაკლონით მაყურებელს დაემშვიდობა.

მანამდე კი მაყურებლის წინაშე წარმოადგინეს სპექტაკლი -,,ძლევაი საკვირველი“. ის ერთგვარი ისტორიული ექსკურსი გახლდათ საქართველოს „ოქროს ხანის“, როდესაც საქართველო გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე“, როდესაც მტერს შიშის ზარს სცემდა ჯერ დავით აღმაშენებლის, მოგვიანებით კი მისი ღირსეული შთამომავლის-თამარის სახელი. ახალგაზრდა მსახიობებმა თანატოლებსა, და არა მარტო მათ, კიდევ ერთხელ შეახსენეს, თუ „ვისი გორისანი ვართ“, საიდან მოვდივართ და რა არის საქართველოსთვის წმინდათა წმინდა... აღსანიშნავია სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, რომელიც ბრძოლის ჟინსა და გამარჯვების სურვილს ერთდროულად აღძრავს მაყურებელში.

სპექტაკლი დაიდგა ილია ჭავჭავაძის,ლადო ასათიანის,იოსებ ნონეშვილისა და ანა კალანდაძის ნაწარმოებების მიხედვით.

დადგმა ეკუთვნოდა ცარო მარტიაშვილს, სცენოგრაფია-გია ყაჭაშვილს, მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

დავით აღმაშენებელი-აბრაამ ახალაური;

მეფე თამარი-მერიკო ზურაშვილი;

ნუქარდინი-გიორგი ბოსტოღანაშვილი;

მხარგრძელი-ნიკოლოზ პაპაშვილი;

მთხრობელი-ნანუკა ნაროზაული;

თამარის ამალა-თეკლა ჯიბლაშვილი, ანა ნასრაშვილი,ანა იგნატიევა, მარიამ ცინტაძე, ქეთი მეხრიშვილი, ანასტასია ჩუბინიძე;

მეომრები-გიორგი მაზიაშვილი,საბა წიკლაური,საბა ყაზარაშვილი, ირაკლი ნაროზაული, ლუკა მენთეშაშვილი.

მომავლის თაობა:

ანანო ბადრიშვილი, ანა სესიტაშვილი, მარიამ ხუციანიძე, გიორგი ქადაგიძე, დემეტრე ფიროსმანაშვილი, გიორგი ნიკვაშვილი.

ეს იყო ახალი თაობის პირველი ნაბიჯები სცენაზე. ზოგიერთმა მათგანმა პირველად იგემა „სცენის მტვერი“... პირველ განწყობას და ემოციას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს...

„თეატრი ცოცხალ სიტყვას და ცოცხალ ემოციას აძლევს ბავშვებს. პატრიოტულ აღზრდას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვები ჩვენი მომავალი თაობაა. როგორებსაც დავზრდით მათ, ისეთი მომავალი ექნება ჩვენს ქვეყანას-“აღნიშნა სპექტაკლის დასასრულს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელმა თამარ თამაზაშვილმა და სამხატვრო ხელმძღვანელს ცარო მარტიაშვილს მადლობა გადაუხადა ამ დიდი საქმისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა აღნიშნა, რომ „ბერიკონის“ პირველმა თაობამ 5 წლის მანძილზე ნაყოფიერად იშრომა და მომავალ თაობას გზა გაუკვალა მომავალი წარმატებისკენ. მან სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა პირველი თაობის „ბერიკონელებს“ და ცხოვრების გზა დაულოცა მათ.

კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა კულტურის ცენტრთან ერთად, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თეატრალური ცხოვრება დედოფლისწყაროში კიდევ უფრო აქტიური გახდეს. ილია მარტყოფლიშვილის ინფორმაციით, იგეგმება თოჯინების თეატრის აღდგენაც, რომლის საკმაოდ კარგი ტრადიციებითაც წარსულში ამაყობდა დედოფლისწყარო.

ინგა შიოლაშვილი



## ულოცავენ!

### ანგელინა ღორაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ საიუბილეო 70 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას, დიდხანს და ბედნიერ ცხოვრებას შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. ყველა სურვილი და ჩანაფიქრი აგსრულებოდეს. შენ ჩვენთვის ყოველთვის იყავ, ხარ და იქნები ერთგული და საიმედო ადამიანი ჭირსა თუ ლხინში. ღმერთი გფარავდეს და ხელს გიმართავდეს ყველგან და ყველაფერში.

**სიყვარულით,**
**ძმა** სპარტაკი, **რძალი** თამარ პოპიაშვილი, **ბიძაშვილები:** ნაირა, ციხელო, გულნარა, მანანა, თამილა ღორაშვილები, **რძალი** ლეილა სულაშვილი ოჯახებით.

ძვირფასო მეგობარო და კოლეგა, ჩვენო ანგელინა, გილოცავთ საიუბილეო 70 წლისთავს. გული გვწყდება, რომ თითქმის ათი წლის წინ, ჩვენ, მუნიციპალიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უსამართლოდ ჩამოგვაცილა საყვარელ საქმეს, მაგრამ ამან ვერ შეცვალა ჩვენი ურთიერთობები, ჩვენ კვლავ ერთად ვართ, რადგან წარუშლელია ერთად გატარებული ის ათეულობით წელი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს. გვინდა, იყო მხნე და ჯანმრთელი, ბედნიერი შენს ოჯახთან ერთად. გვიყვარხარ და გეფერებით.

ქუქუნა ჯაგაშვილი და ციური ბენაშვილი.


## ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ

☎ 591092478

იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯიით მისამართზე – რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა 9, მეორე სართული. ბენზინგასამართ სადგურ „სოკარი“-ს წინ.

☎ 555 23 26 80 , იკითხეთ ეკა.

## ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა !

ქირავდება კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა ბაკურიანში, დიდველზე, სასტუმრო კომპლექსში „რედკო“. დაჯავშნა წინასწარ, ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ

ტელ: 555 38 84 89


## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა აცხადებს მიღებას 2019-2020 სასწავლო წლისათვის. მიიღებიან ბავშვები საფორტეპიანო და სავიოლინო განყოფილებებზე 8 წლიდან 12 წლამდე და სამხატვრო განყოფილებაზე 10 წლიდან. განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე. ცნობებისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 555450650, 57717 8788 ან მოგვმართეთ მისამართზე: 9 ძმის ქუჩა №2.

## ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| ორშაბათი 01.07 | | სამშაბათი 02.07 | | ოთხშაბათი 03.07 | | ხუთშაბათი 04.07 | | პარასკევი 05.07 | | შაბათი 06.07 | | კვირა 07.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 16 ° | 14 ° | 17 ° | 16 ° | 20 ° | 19 ° | 22 ° | 21 ° | 24 ° | 21 ° | 20 ° | 19 ° | 21 ° | 20 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.